ხელშეკრულება №26

<u>სახელმწიფო შესყიდვის შესახებ</u>

ქ. თბილისი **ნოემბერი 2019 წელი**

ერთის მხრივ **სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი** (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი **თავმჯდომარის გიორგი ალიბეგაშვილის** სახით და მეორეს მხრივ, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან გიორგაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული მსუბუქი სტანდარტული ტიპის ავტომანქანების რეცხვის მომსახურების (შემდგომში – მომსახურება) სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად (გამარტივებული შესყიდვით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად). (კლასიფიკაციის კოდი 50100000)

1.2 შესყიდვის ობიექტია მსუბუქი, სედანის ტიპის ავტომანქანის 60-ჯერ სტანდარტული რეცხვის მომსახურება, წინასწარ გაცემული რეცხვის ტალონების საფუძველზე.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 ერთი მსუბუქი, სედანის ტიპის ავტომანქანის სტანდარტული რეცხვის ღირებულება შეადგენს 9 (ცხრა) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2.3 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 540 ხუთა ორმოცი) ლარს (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით).

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ ავტომანქანის რეცხვის მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 რეცხვის ტალონების მიწოდება განხორციელდება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესების დაცვით, ერთიანად, ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2019 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შემსყიდველის მოთხოვნიდან 10 კალენდა დღის ვადაში მიმწოდებელი მიღება-ჩაბარების აქტით გადასცემს შემსყიდველს მის მიერ მოთხოვნილი ოდენობისა და სახეობის რეცხვის ტალონებს. ტალონების გადაცემის შემდეგ მათი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე, ამასთან, უკვე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის მომსახურების ტალონებზე გადაცვლას. წინამდებარე ხელშეკრულების ინტერესებიდან გამომდინარე, ავტომანქანის რეცხვის ტალონი – ეს არის მიმწოდებლის მიერ დაბეჭდილი ბარათი, რომელიც განკუთვნილია შემსყიდველისათვის და ადასტურებს მის უფლებას შესაბამის ავტოსამრეცხაოში მიიღოს ავტომანქანის რეცხვის მომსახურეობა. ყოველ ტალონზე აღნიშნული უნდა იყოს:

- ტალონის ნომერი;
- მიმწოდებლის ლოგო წარწერით „სოკარი“;
- ტალონის (მომსახურების) სახეობა.

შემსყიდველისათვის გადაცემული ტალონები გააქტიურდება და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება მხარეთა შორის ტალონების გადაცემის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) საათის გასვლის შემდეგ. ტალონების დაკარგვის შემთხვევაში, თუკი შემსყიდველი გონივრულ ვადაში სამუშაო

შემსყიდველის ხელმოწერა _____ მიმწოდებლის ხელმოწერა _____

LLC SOCAR GEORGIA PETROLEUM

Digitally signed by LLC SOCAR GEORGIA PETROLEUM
Date: 2019.11.04 17:16:45 +04'00'

საათებში აცნობებს მიმწოდებელს დაკარგვის შესახებ წერილობით და მიუთითებს დაკარგული ტალონების ნომრებს, მიმწოდებელი უზრუნველყოფს აღნიშნული ტალონების დაბლოკვას, მათი შემდგომი გამოყენების თავიდან აცილების მიზნით. ამასთან, შემსყიდველს არ აქვს უფლება მოითხოვოს დაკარგული ტალონების სანაცვლოდ ახალი ტალონების გაცემა. დაკარგული ტალონების პოვნის შემთხვევაში, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ტალონების აღდგენას (ბლოკირების მოხსნას). ამასთანავე, ბლოკირებამდე ტალონების გამოყენებით გამოწვეულ შედეგებზე ყველანაირი პასუხისმგებლობა და რისკები ეკისრება მხოლოდ შემსყიდველს.

5.2 ტალონით მომსახურება განხორციელდება ნებისმიერ მის წარმომდგენ პირზე.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია ტალონის წარმოდგენისთანავე გაურეცხოს ავტომანქანა ტალონის წარმომდგენს.

5.4 მომსახურების გაწევა მოხდება მიმწოდებლის ავტოსამრეცხაოებში. მიმწოდებლის ქსელში შემავალი ავტოსამრეცხაოების შემდეგ მისამართებზე:

- ბელიაშვილის ქუჩა 191-ის მიმდებარედ;
- ქავთარძის ქუჩა 19;
- გელოვანის გამზირი (სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოპირდაპირედ);
- ისნის (ისნის ბაზრობის მიმდებარედ);
- გულიას მოდეანი (ორთაჭალა);
- კახეთის გტატკეცილი (ლილო);

5.5 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ამავე ხელშეკრულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებული ტალონების მიღება-ჩაბარების აქტების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი შემსყიდველის მხრიდან არის მარინე ლურსმანაშვილი, პირადი ნომერი 01022006219 და ეს უფლებამოსილება არ შეიძლება გახდეს სადავო შემსყიდველის მხრიდან. შემდგომში ამ პირის უფლებამოსილების გაუქმება ან შეზღუდვა იურუდიულ ძალას შეიძენს მხოლოდ იმ შემთხვვაში, თუ მიმწოდებელს წერილობით ეცნობება ამის თაობაზე ან თუ მხარეთა შეთანხმებით შესაბამისი ცვლილება შევა წინამდებარე პუნქტში. სხვა პირისათვის ამ უფლებამოსილების მისანიჭებლად ასევე საჭიროა შესაბამისი წერილობითი მინდობილობა ან მხარეთა შეთანხმება.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 რეცხვის მომსახურების ღირებულებას შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ამ ხელშეკრულების 2.3 პუნქტის მიხედვით შესაბამისი, რეცხვის ტალონების მიღების შემდეგ, საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გამოწერიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.1.2 მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

7.1.3 დაასწროს თავისი წარმომადგენელი (მძღოლი) ავტომანქანის რეცხვის პროცესს.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;

7.2.2 წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ;

7.2.3 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.3.1 მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.3.2 მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1 ავტოსამრეცხაოში რეცხვის ტალონების წარმოდგენისთანავე გაუწიოს ტალონის წარმომდგენ პირს ტალონში აღნიშნული მომსახურება;

7.4.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

LLC SOCAR GEORGIA PETROLEUM

Digitally signed by LLC SOCAR GEORGIA PETROLEUM
Date: 2019.11.04 17:18:39 +04'00'

შემსყიდველის ხელმოწერა _____ მიმწოდებლის ხელმოწერა _____

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების/ტალონების მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო დროულად მიუწოდებელი მომსახურების/ტალონების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

8.3 გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად გადაუხდელი თანხის 0,02%-ის ოდენობით. ასეთი უფლებით მიმწოდებელმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

8.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველს ან მიმწოდებელს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს სრული შესყიდული მომსახურების გაწევამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას, მიმწოდებელი უფლებამოსილია შეცვალოს (გაზარდოს) რეცხვის ღირებულება, რის შესახებ ის 10 დღით ადრე წერილობით აცნობებს შემსყიდველს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობის დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

LLC SOCAR GEORGIA PETROLEUM
Digitally signed by LLC SOCAR GEORGIA PETROLEUM
Date: 2019.11.04 17:17:34 +04'00'

შემსყიდველის ხელმოწერა _____ მიმწოდებლის ხელმოწერა _____

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ სახელმწიფო
ენის დეპარტამენტი
ს/კოდი: 205349979
მის: ქ. თბილისი, ინგოროყვას N7
ელ ფოსტა: lursmanashvilimarika@gmail.com
ტელ: 577 15 70 91

მიმწოდებელი:

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი"
მის: ქ. თბილისი, 300 არაგველიქ.№24
ს/ს „საქართველოს ბანკი"
ბ/კოდი: BAGAGE22
ა/ა№ № GE67BG0000000792379800GEL
ს/კოდი: 202352514
ტელ: 243 97 57

თავმჯდომარე

გიორგი ალიბეგაშვილი

დირექტორი

ლევან გიორგაძე

LLC SOCAR GEORGIA PETROLEUM
Digitally signed by LLC SOCAR GEORGIA PETROLEUM
Date: 2019.11.04 17:18:01 +04'00'

LEPL STATE LANGUAGE DEPARTMENT
Digitally signed by LEPL STATE LANGUAGE DEPARTMENT
Date: 2019.11.05 10:25:08 +04'00'

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი ნოემბერი 2019 წ.

ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ აღნიშნული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

სსიპ ,,სახელმწიფო ენის დეპარტამენტის”

თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

შპს ,,სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“

დირექტორი ლევან გიორგაძე

შემსყიდველის ხელმოწერა _____ მიმწოდებლის ხელმოწერა _____

LLC SOCAR GEORGIA PETROLEUM

Digitally signed by LLC SOCAR GEORGIA PETROLEUM
Date: 2019.11.04 17:25:15 +04'00'

აქტი მომსახურების მიღება- ჩაბარების შესახებ

ქ. თბილისი **ნოემბერი 2019 წელი**

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი ერთის მხრივ სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი **(შემდგომში - „შემსყიდველი”) მისი თავმჯდომარის გიორგი ალიბეგაშვილის სახით** (შემდგომში წოდებული როგორც “შემსყიდველი”) და მეორე მხრივ შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი” (შემდგომში - „მიმწოდებელი”) დირექტორის ლევან გიორგაძის სახით (შემდგომში როგორც “მიმწოდებელი”) ვადგენთ ამ აქტს, მასზედ, რომ 2019 წლის ნოემბერში გაფორმებული №26 ხელშეკრულების საფუძველზე “შემსყიდველმა” მიიღო, ხოლო “მიმწოდებელმა” მიაწოდა 540 (ხუთას სორმოცი) ლარის ღირებულების 60 ერთეული სედანის ტიპის მსუბუქი ავტომანქანის გასარეცხი ტალონი.

ხეშეკრულებით გათვალისწინებული პირობები არ დარღვეულა, სადაო საკითხები არ წამოჭრილა, რასაც ვადასტურებთ ბეჭდით და ხელმოწერით.

„შემსყიდველი”	„მიმწოდებელი”
სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი საიდენტიფიკაციო კოდი 205349979 ქ. თბილისი, პ. ინგოროყვას №7 ბანკი: სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: **TRESGE** 22 ფინანსური და შესყიდვების მენეჯერი **მარინე ლურსმანაშვილი**	შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი” ს/კოდი: 202352514 მის: ქ. თბილისი, 300 არაგველის ქ.№24 ს/ს „საქართველოს ბანკი“ ბ/კოდი: BAGAGE22 ა/ა№ № GE67BG0000000792379800GE დირექტორი **ლევან გიორგაძე**

შემსყიდველის ხელმოწერა _____ მიმწოდებლის ხელმოწერა _____